დარეჯან ლეკიაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

განათლებით იურისტი, სამართლის დოქტორი, კვალიფიკაციით სამართალმცოდნე – 1993 წელს დაამთავრა ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იმავე წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდები ასპირანტურაში.

დარეჯან ლეკიაშვილმა 2001 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები“;

დარეჯან ლეკიაშვილი 1992 წლიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურისტია.

1994 წლის გაზაფხულიდან მიიწვიეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და მას შემდეგ დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, მათ შორის წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ასევე თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში.

ამჟამად არის განათლების აკადემიის ასოცირებული პროფესორი (კონკურსით ჩარიცხული აკადემიური პერსონალი) და სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი.

წლების განმავლობაში მიყავდა და დღესაც მიყავს ლექციების კურსი სისხლის სამართლის პროცესში; კრიმინალისტიკასა და კრიმინოლოგიაში; ასევე პერიოდულად კითხულობს ლექციებს იურიდიულ ფსიქოლოგიაში, სისხლის სამართალსა და სასჯელ–აღსრულების სამართალში.